ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2739348

ნომერი: AR1425318

თარიღი : 21.07.2016

გაცემის თარიღი : 01.08.2016

გაცნობის თარიღი : 01.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ნეფარიძე პ/ნ 01024069855
- ვაჯა-ფშაველას 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის განხილვის შედეგად არ დგინდება კონკრეტულად, თუ რა ნაწილში და რა მიზნით ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში გრგ) პროექტის კორექტირებას („ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში“ ატვირთული ფოტომონტაჟი გრგ–ს პროექტის კორექტირების განსახილველად არასაკმარისი დოკუმენტია).
იმისათვის, რომ სამსახურმა შესძლოს გრგ–ს კორექტირებული პროექტის განხილვა, საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
1. გრგ–ს განმარტებითი ბარათი, სადაც მკაფიოდ უნდა ჩანდეს დაგეგმვის მიზანი და დაგეგმვის მიზანშეწონილობა. განმარტებული იქნეს რაში მდგომარეობს პროექტის კორექტირება (რის შეთანხმებას ითხოვთ და რა ნაწილში); აღწეროთ კორექტირების შედეგად იცვლება, თუ არა პროექტით დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები და თუ იცვლება დაასაბუთოთ აღნიშნულის საჭიროება.
2. გრგ–ს პროექტის კორექტირებიდან გამომდინარე, გრგ–ს კორექტირების ფრაგმენტი ცალკე ფურცლად (ფრაგმენტი უფლებრივი ზონირების რუკიდან);
3. ბოლოს შეთანხმებული კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტისა და ახალი გრგ–ს კორექტირების შესაბამისად თანხვედრაში მოყვანილი განახლებული გრგ–ს კორექტირებული პროექტის ალბომი (იხ. ბოლოს შეთანხმებული გრგ–ს კორექტირების პრექტი სამსახურის ვებ. გვერდზე http://tas.ge/ განაცხადის ნომერი AR128963);
ასევე, გაითვალისწინეთ http://tas.ge/ განაცხადის ხელახლა შევსებისას:
ველში „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ არასწორად გაქვთ მითითებული გრგ–ს საპროექტო ტერიტორიის არეალი. გთხოვთ, ისარგებლოთ „რუკის ცვლილების უფლების ღილაკით“ და სწორად მონიშნოთ გრგ–ს საპროექტო არეალი;
ფუნქციური ზონის სახეობის ველში მიუთითოთ გრგ–ს პროექტით გათვალისწინებული ზონის სახეობა;
შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის რეკვიზიტების ველში მიუთითოდ თავდაპირველად შეთანხმებული გრგ–ს პროექტის რეკვიზიტები (N01/125, 14.02.2008);
ამასთან, დამატებითი ინფორმაციის სახით, გაწვდით წარმოსადგენი აუცილებელი დოუმენტაციის შემადგენლობის ჩამონათვალს:

□ სიტუაციური გეგმა
□ ფოტოსურათები
– საპროექტო ტერიტორიის სქემაზე (ტოპოგრაფიული ან აეროფოტოგადაღება) მონიშნული ფოტოსურათების გადაღების ადგილები და მიმართულებები —
– გადაღების თარიღი
□ ფუნქციური ზონირების რუკა (არსებული/მოქმედი და საპროექტო):
□ <u>გრგ–ს უფლებრივი ზონირების დოკუმენტი</u> (საპროექტო), სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს:

- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- დადგენილი ზონები და გამოყენების სახეობები (ობიექტები და ფუნქციები)
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტები
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტები
- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტები
- შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა
- განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობა
- ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა
- მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (მიწის ნაკვეთის ნომრის და ფართობის ჩვენებით)
- მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების სქემა (წითელი და ლურჯი ხაზების ჩვენებით)

□ საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო ნაწილი:
– ძირითადი და ლოკალური გზების და ქუჩების ქსელის რუკა:

- ძირითადი და ლოკალური გზები და ქუჩები
- ავტოსადგომები
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

□ ვიზუალიზაცია:
– განშლები ან/და ჭრილები

ასევე, საჭიროა დაიცვათ შემდეგი ტექნიკური ხასიათის მითითებები:
საპროექტო დოკუმენტაციაში დაცული უნდა იქნეს საერთო სტილი და ფორმატი; რუკებზე, მათი თემატიკიდან გამომდინარე, ქართული შრიფტით, დატანილი უნდა იქნეს:

- ექსპლიკაცია;
- მასშტაბი;
- პირობითი აღნიშვნები;
- გაბარიტული ზომები;
- შინაარსობრივად გამართული „შტამპი“;
- მგგ–სთან შესაბამისობაში მოყვანილი ფუნქციური ზონების აღმნიშვნელი ფერები;
- ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები მეათედის სიზუსტით;
- ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს განმარტებით ბარათში და პოექტის სხვადასხვა რუკაზე, თუ ცხრილში ნაჩვენები პარამეტრები და მაჩვენებლები;

შესწორებული დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს tas.ge–ზე ამავე განაცხადის დახარვეზებულ ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ველში.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად, თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი, შესწორებული დოკუმენტაცია, სამსახური გამოიტანს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე, ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.